

## შეტყობინება მესამე

გვიყვარდეს უფალი პირველი სიყვარულით,  
დავტკბეთ უფლით, როგორც სიცოცხლის ხით  
და ვიყოთ ოქროს სასანთლე როგორც იესოს მოწმობა  
ახალი იერუსალიმის როგორც  
ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის მიზნის ასაშენებლად

ადგილები წერილიდან: გამოცხ. 2:1-7; ეფეს. 6:24; 2 ტიმ. 1:15; 2 კორ. 11:2-3;  
იოანე 14:21, 23; 21:15-17

- I. გამოცხ. 2:7-ში სიცოცხლის ხე აღნიშნავს ჯვარცმულ (რაზეც მიუთითებს ხე როგორც ძელი – 1 პეტ. 2:24) და აღმდგარ (რაზეც მიუთითებს ღმერთის სიცოცხლე – იოანე 11:25) ქრისტეს, რომელიც დღეს არის ეკლესიაში, და რომლის დასრულებაც იქნება ახალი იერუსალიმი, სადაც ჯვარცმული და აღმდგარი ქრისტე იქნება სიცოცხლის ხე ღმერთის ყველა გამოსყიდული ადამიანის კვებისა და ტკბობისათვის მარადიულად (გამოცხ. 22:2, 14; შდრ. გამ. 15:25-26).
- II. ეპლესიებმა აზიაში, მათ შორის ეპლესიამ ეფესოში, ზურგი შეაქციეს მოციქული პავლეს ნიშნობის მსახურებას (2 ტიმ. 1:15; 2 კორ. 11:2-3); ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ დაახლოებით ოცდაექვსი წლის შემდეგ, როდესაც მოციქულმა იოანემ დაწერა წერილი ეპლესისამდი ეფესოში, მათ მიატოვეს თავიანთი პირველი სიყვარული და დაკარგეს ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით ნამდვილი ტკბობა (გამოცხ. 2:4-5, 7):
  - ა. ახალი ადთქმის ნამდვილი მსახურება ყოველთვის გვიბიძგებს ჩვენ, გვიყვარდეს უფალი იესო პირველი სიყვარულით, გვამტკიცებს ჩვენ ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის ჭამის უბრალოებაში და ასეთი ქრისტეთი ტკბობაში ჩვენი სასიცოცხლო შეწევნისათვის – 2 კორ. 11:2-3; 3:3-6.
  - ბ. გვიყვარდეს უფალი პირველი სიყვარულით – ნიშნავს მივცეთ მას პირველობა, პირველი ადგილი, ყველაფერში, ვიყოთ შევიწროვებულნი მისი სიყვარულით, რათა ჩავთვალოთ ის ყველაფრად და მივიღოთ ის როგორც ყველაფერი ჩვენს სიცოცხლეში – გამოცხ. 2:4-5; კოლ. 1:18ბ; 2 კორ. 5:14-15; მარკ. 12:30; ფსალ. 73:25-26.
  - გ. პავლეს დასკნითი სიტყვა ეფესელთა მიმართ წერილში არის მადლის კურთხევა ყველასათვის, „ვისაც უყვარს ჩვენი უფალი იესო ქრისტე უხერწელობაში“ (6:24); ეფესელთა მიმართ წერილში არაერთხელ არის გამოყენებული სიტყვა „სიყვარულში“, რომელშიც მალიან დიდი გრძნობაა (1:4; 3:17; 4:2, 15-16; 5:2).
  - დ. ეფესელთა მიმართ წერილის მიზანი არის ის, რომ მიგვიყვანოს ჩვენ სიყვარულში, ღმერთის შინაგან არსები, რათა ჩვენ დავტკბეთ ღმერთით როგორც სიყვარულით, დავტკბეთ მისი თანდასწრებით ღვთაებრივი სიყვარულის სიტკბოში და ამის წყალობით გვიყვარდეს ერთმანეთი ისევე, როგორც ქრისტე – 1:15; 2:4; 3:19; 5:2, 25; 6:23; შდრ. 1 იოანე 4:16-19.

- ქ. ეპლესიამ ეფესოში განიცადა მარცხი იმაში, რაც შეეხება სიყვარულს უფლისადმი; ასეთი მარცხი გახდა ძირითადი მიზეზი ეპლესის მარცხისა საუკუნეების განმავლობაში – მათე 24:12; მარკ 12:30-31; შდრ. დან. 7:25.
- გ. უფლის წერილში, ეფესოს ეპლესისადმი გამოცხ. 2:1-7-ში, არის ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი; ეს ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი წარმოდგემილია ოთხი სიტყვით: „სიყვარული“, „სიცოცხლე“, „სინათლე“ და „სასანთლე“:
1. ჩვენ უნდა მივცეთ უფალ იესოს პირველობა ყველა საკითხში და ყველაფერში, რათა აღვადგინოთ პირველი სიყვარული; მაშინ ჩვენ დავტკბებით მისით როგორც სიცოცხლის ხით და ეს სიცოცხლე გახდება სიცოცხლის სინათლე – იოანე 8:12; ეფეს. 5:8-9, 13.
  2. მაშინ ჩვენ გავტრწყინდებით როგორც ოქროს სასანთლე, როგორც იესოს მოწმობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგვშორდება სასანთლე – გამოცხ. 1:9-12, 20:
    - ა) ოქროს სასანთლე არის სამერთიანი ღმერთის სიმბოლო: მამა როგორც სუბსტანცია განკაცებულია ძეში, ძე როგორც განკაცება გამოხატულია სულის მეშვეობით, სული ხდება მთლიანად ნამდვილი ჩვენთვის და გამოხატულია როგორც ეპლესიები, ხოლო ეპლესიები – არის მოწმობა იესოსი – გამ. 25:31-40; ზაქ. 4:2-10; გამოცხ. 1:10-12.
    - ბ) დვოაებრივი აზრის თანახმად, ოქროს სასანთლე არის სინამდვილეში ცოცხალი ხე და ის იზრდება ნუშის გვირგვინებითა და ყვავილებით; ამგვარად, სასანთლე გამოხატავს სამერთიან ღმერთს, განკაცებულს ქრისტეში როგორც ცოცხალ ოქროს ხეს აღდგომისას – რომელიც იზრდება, იღებს კვირტებს და ყვავილდება ჩვენში, ჩვენთან ერთად, ჩვენი მეშვეობით და ჩვენგან როგორც სინათლის ნაყოფი (სულის ნაყოფი), რომელიც არის კეთილი თავისი ბუნებით, მართალი თავისი საშუალებით და ნამდვილი თავისი გამოხატულებით, რათა ღმერთი იყოს გამოხატული როგორც სინამდვილე ჩვენს ყოველდღიურ სვლაში – გამ. 25:31, 35; ეფეს. 5:8-9; გალ. 5:22-23; იოანე 12:36.
  - ჩ. ვჭამოთ სიცოცხლის ხე, ანუ დავტკბეთ ქრისტეთი როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით, – აი რა უნდა იყოს უპირველესი საქმე ეპლესიურ ცხოვრებაში; ქრისტე როგორც სიცოცხლის ხე არის „კარგი საჭმელად“ (დაბ. 2:9), რათა ჩვენ ვჭამოთ ის ჩვენი ტკბობისათვის და შევდგეთ მისით ღმერთის გამოხატულებისათვის (1:26; იოანე 6:57, 63):
    1. ეპლესიური ცხოვრების შემადგენლობა დამოკიდებულია ქრისტეთი ტკბობაზე – რაც უფრო მეტად დავტკბებით მისით, უფრო მდიდარი იქნება ეს შემადგენლობა, მაგრამ იმისათვის, რომ დავტკბეთ ქრისტეთი, ჩვენთვის აუცილებელია გვიყვარდეს ის პირველი სიყვარულით.

2. თუ ჩვენ მივატოვებთ ჩვენს პირველ სიყვარულს უფლისადმი, ჩვენ გავუშვებთ ქრისტეთი ტკბობას და დავკარგავთ იქსოს მოწმობას; შედეგად, ჩვენ მოგვშორდება სასანთლე – გამოცხ. 2:1-7.
  3. გვიყვარდეს უფალი, დაგტკბეთ უფლით და ვიყოთ მოწმობა უფლისა – ეს სამი რამ განუყოფელია ერთი მეორისაგან.
- II. უფლის აღდგენა არის აღდგენა იმის, რომ გვიყვარდეს უფალი იქსო პირველი სიყვარულით, საუკეთესო სიყვარულით, და ვჭამოთ უფალი იქსო როგორც სიცოცხლის ხე ქრისტეს ორგანული სხეულის ასაშენებლად, ანუ ახალი იერუსალიმის როგორც დმერთის მარადიული სახლმშენებლობის მიზნის ასაშენებლად – ეფეს. 4:15-16; გამოცხ. 22:14:**
- a. იმისათვის, რომ დაგტკბეთ ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით, ჩვენ უნდა უოველთვის ველაპარაკოთ მას: „უფალო იქსო, მე მიყვარხარ შენ“; თუ ჩვენ გვექნება მგზნებარე სიყვარული უფალ იქსოსადმი, მივცემთ მას პირველ აღგილს ყველაფერში, ჩვენ დავტკბებით ყველაფრით, რასაც ის წარმოადგენს – 2:4-5, 7; 1 კორ. 2:9.
  - b. ვირწმუნოთ უფალში – ნიშნავს მივიღოთ ის როგორც სიცოცხლე, ხოლო გვიყვარდეს უფალი – ნიშნავს დავტკბეთ მისით როგორც სიცოცხლით, დავტკბეთ თვით პიროვნებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ; რწმენას გვაძლევს ჩვენ დმერთი, რათა ჩვენ მივიღოთ ამ რწმენით ქრისტე როგორც ჩვენი სიცოცხლე; სიყვარული გამომდინარეობს ასეთი საოცარი რწმენიდან და ნებას გვაძლევს ჩვენ გამოვალინოთ მთელი სიმდიდრე სამერთიანი დმერთისა ქრისტეში როგორც ჩვენს სიცოცხლეში – 2 პეტ. 1:1; ებრ. 12:1-2ა; 2 კორ. 4:13; გალ. 5:6; იოანე 1:12-13; 21:15-17; კოლ. 3:4.
  - c. ის სიცოცხლე, რომელიც ჩვენ მივიღეთ უფალ იქსოში რწმენისას, არის პიროვნება, და ერთადერთი გზა, რომ გამოვიყენოთ ეს პიროვნება და დავტკბეთ მისით – არის გვიყვარდეს ის პირველი სიყვარულით; ვინაიდან უფალი იქსო როგორც ჩვენი სიცოცხლე არის პიროვნება, ჩვენ უნდა ახლებურად შევეხოთ მას, რათა დავტკბეთ მისი დღევანდელი თანდასწრებით სწორედ ამ წეტს და დღითი დღე – იოანე 11:25; 14:5-6; 1 ტიმ. 1:14; 2 კორ. 5:14-15; გამოცხ. 2:4-7; კოლ. 1:18ბ; რომ. 6:4; 7:6.
  - d. „მიუძღვენით თქვენი თავი იმას, რომ გიყვარდეთ უფალი. არავითარი სხვა გზა არ არის ასეთი ქმედითი, და არავითარი სხვა გზა არ არის ასეთი საიმედო, ასეთი მდიდარი და ასეთი სავსე ტკბობით. უბრალოდ გიყვარდეთ ის. ნუ იზრუნებთ ნურაფერზე“ – „სიცოცხლე და აშენება, აღწერილი სოლომონის ქებათა ქების წიგნში“, გვ. 33.
  - e. როდესაც ჩვენ გვიყვარს ის, ის გამოაჩენს თავის თავს ჩვენთვის და ის და მამა მოვლენ ჩვენთან და დაიდებენ ჩვენთან თავის სავანეს (იოანე 14:21, 23); ამიტომ ჩვენ უნდა ვილოცოთ ასეთი ლოცვებით: „უფალო, მაჩვენე შენი სიყვარული და შემავიწროვე მე შენი სიყვარულით, რათა მე მიყვარდე შენ და გიცხოვრო შენ“; „უფალო, შემინახე მე მთელი დროის განმავლობაში, რომ მიყვარდე შენ“; ჩვენ მუდმივად უნდა ვუთხრათ უფალს: „უფალო იქსო, მე მიყვარხარ შენ; უფალო, შემინახე შენს სიყვარულში! მიმიზიდე მე შენით!

მთელი დროის განმავლობაში ჟემინახე მე ჟენს მოსიყვარულე და დღეგანდელ თანდასწრებაში“.

- ვ. რაც უფრო მეტად გვეყვარება ის, უფრო მეტად გვექნება ჩვენ მისი თანდასწრება ჩვენს ურთიერთობაში მასთან; იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ უფალის აღდგენაში სიღრმისეულად, ჩვენ უნდა გვიყვარდეს უფალი იესო; თუ ჩვენ არ გვიყვარს ის, დადგა ჩვენი აღსასრული, რაც შეეხება მის აღდგენას – ქებ. ქ. 1:1-4; 1 კორ. 2:9; 16:22.
- ზ. ამაზე დაფუძნებით ჩვენ უნდა ვიმდეროთ და ვილოცოთ: „ო, ჩემო უფალო, მე ძალიან მიყვარხარ ჟენ, / არა ჩემი სიყვარულით. / მიყვარხარ ჟენ, მაგრამ მთელი სიყვარული ჟენია, / და მე მხოლოდ მისით ვცხოვრობ“ (პიმნი 399, 1-ლი კუპლეტი); „ჩვენ არ გვიყვარს იესო, / ჩვენს გულში არ არის მშვიდობა; / მხოლოდ ჟენ, უფალო, მიყვარხარ მე / ჩემს გულს გაძლევ ჟენ“ (პიმნი 400, 1-ლი კუპლეტი).